

# ქართული სამართლის კლასიკა

## წიგნი I

ზვიად კორძაძის გამომცემლობა

თბილისი

2017

## **სამეცნიერო რედაქტორები:**

### **ზვიად კორძაძე**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ მმართველი პარტნიორი

### **თორნიკე ნემსწვერიძე**

სამართლის მაგისტრი (თსუ), „კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ იურისტი

## **სარედაქციო კოლეგია:**

### **ოთარ გამყრელიძე**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

### **გიორგი დავითაშვილი**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

### **ნანა ჭიღლაძე**

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

### **მარინა გარიშვილი**

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი I, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, გვ. 658.**

© ავტორები, 2017

© „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“, 2017

ISBN 978-9941-27-394-0 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-27-395-7 (პირველი წიგნის)

## „ქართული სამართლის კლასიკის“ გამოცემისათვის

წარმოგიდგინებ „ქართული სამართლის კლასიკის“ პირველ ტომს. წინამდებარე გამოცემა სამი მიზეზით არის საინტერესო. პირველი იმით, რომ მასში თავმოყრილი იქნება ცნობილი ქართველი იურისტების სამეცნიერო ნაშრომები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული სამართლებრივი აზრის განვითარებაში; მეორე - წიგნი საინტერესოა იმის გამოც, რომ წარმოუდგენელია, მკვლევარმა გადაწყვიტოს ქართული სამართლის ამა თუ იმ სფეროს შესწავლა და გვერდი აუაროს კრებულში თავმოყრილ მეცნიერთა ნაშრომებს, ხოლო მესამე იმიტომ, რომ მოცემულ შემთხვევაში „ქართული სამართლის კლასიკის“ გამოცემა დაემთხვა რიგი მეცნიერების საიუბილეო თარიღებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამაარსებელი პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი, მაგრამ მას ნაშრომები სამართლის სფეროში არ დაუტოვებია. აქედან გამომდინარე, ღირებულია ამ დიდი იურისტის ინტელექტუალური ნაღვაწის მოპოვება, და გთავაზობთ მის რეცენზიას პროფესორ გიორგი ნანეიშვილის სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც, ჩვენი ინიციატივით, გამოსაქვეყნებლად მოამზადა და რუსულიდან თარგმნათსუის ასოცირებულმა პროფესორმა მარინა გარიშვილმა. არა მარტო ამ ნაშრომიდან, არამედ ზოგადად, ნათელია, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახით ქართულ იურიდიულ სკოლას ჰყავდა მასშტაბური და მრავალმხრივ განათლებული ფიგურა.

კრებულში შესულ ავტორთა შორის წარმოუდგენელია არ ყოფილიყვნენ პროფესორები იროდიონ სურგულაძე, გიორგი ნანეიშვილი და ალექსანდრე ვახეიშვილი. სწორედ მათი, როგორც „არამარქსისტი“ პროფესორების „დასასჯელად“ გაიმართა 1930 წლის ცნობილი დისკუსია, სადაც არამარქსისტული იდეოლოგიის მატარებელი იურიდიუ-

ლი ნაშრომები დაგმობილ იქნა, კერძოდ, პროფესორ იროდიონ სურგულაძის - „ხელისუფლება და სამართალი“<sup>1</sup>, პროფესორ გიორგი ნანეიშვილის - „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“<sup>2</sup>, პროფესორ ალექსანდრე ვაჩიშვილის - „სამართლის ზოგადი თეორია“<sup>3</sup>. სწორედ ამას, 1937 წლის რეპრესიების დროს ემსხვერპლა პროფესორი გიორგი ნანეიშვილი<sup>4</sup>. შეიძლება ითქვას, რომ 1930 წელს გამართულმა დისკუსიამ, - როგორც პროფესორი *ო. გამყრელიძე* მიუთითებს - თითქმის მთლიანად ჩაკლა ქართული იურიდიული აზროვნება და 20-იან წლებში დაწყებული საქმე დიდი ხნით შეაფერხა<sup>5</sup>.

გამოცემაში, ასევე, წარმოდგენილია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სტატია, ვინაიდან, მართალია ქართული სამართლის ისტორიის პირველი მკვლევარი *ნიკო ხიზანაშვილი* (*ურბნელი*) (რომლის ნაშრომიც, ასევე, წინამდებარე კრებულშია შესული), მაგრამ სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის მეცნიერული საძირკვლის ჩაყრა.

---

<sup>1</sup> პროფესორი იროდიონ სურგულაძე იყო პირველი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის მიმართულებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ხელისუფლება და სამართალი“ (*Gewalt und Recht*) და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. აღნიშნული შრომა პირველად, 1925 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ - იგი პროფესორმა *ოთარ გამყრელიძემ* ქართულად თარგმნა და გერმანულ დედანთან ერთად გამოსცა. იხ. *სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, თბილისი, 2002.*

<sup>2</sup> აღნიშნული ნაშრომი პროფესორმა გიორგი ნანეიშვილმა წარადგინა სადოქტორო დისერტაციად და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სწორედ ეს ნაშრომი იყო საფუძველი დიდი სამეცნიერო პაექრობისა პროფესორ იროდიონ სურგულაძესა და გიორგი ნანეიშვილს შორის, რომელიც გამოირჩეოდა მეცნიერული სიღრმით.

<sup>3</sup> პირველი სახელმძღვანელო სამართლის თეორიაში, რომელიც გამოიცა 1926 წელს და არ წარმოადგენს მარქსისტული იდეოლოგიით განმსჭვალულ ნაშრომს.

<sup>4</sup> *გამყრელიძე ო.*, პროფესორ ალ. ვაჩიშვილის წიგნის „სამართლის ზოგადი თეორიის“ ახალი გამოცემის გამო, წიგნში: *ვაჩიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2010, VII.*

<sup>5</sup> *გამყრელიძე ო.*, იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, წიგნში: *სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის თარგმანი, თბილისი, 2002, 8.*

საზგასმით უნდა აღინიშნოს ცნობილი ქართველი მეცნიერის *ფატიმან გოკიელის* წერილი, რომელიც ეხება უფლების, როგორც სამართლებრივი ფენომენის მეცნიერულ ანალიზს. შესაძლოა იურისტთა უმრავლესობისათვის უცნობი იყოს *ფატიმან გოკიელის* სახელი. იგი იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის კურსდამთავრებული სამართალმცოდნე (1924 წელს)<sup>1</sup>, *პროფესორ ლუარსაბ* ანდრონიკაშვილის ღირსეული მოსწავლე. 1926 წელს, როდესაც *ფ. გოკიელი* უნივერსიტეტის ასპირანტურაში აბარებს სამოქალაქო სამართლის განხრით, სწორედ *პროფესორი ანდრონიკაშვილი* გახლდათ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაგრამ 1927 წელს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე<sup>2</sup> *ფ. გოკიელს* მოუწია უნივერსიტეტის დატოვება. ამის შემდეგ, მან იურისპრუდენციაში მეცნიერულ მუშაობას თავი დაანება და ფილოლოგიურ მეცნიერებებში გადაინაცვლა. 1948 წელს იცავს დისერტაციას თემაზე - „აღორძინების ეპოქის ფრანგული სოციალ-პატრიოტული ლირიკა“ - და მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ფატი გოკიელი იყო მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი, კერძოდ, მისი მემშვეობით საზოგადოებამ ქართულ ენაზე გაიცნო შემდეგი ლიტერატურული ქმნილებები: ცვაიგის „ლეგენდა მესამე მტრედზე“, კალაშნიკოვის ნარკვევი „სტანისლავსკის თეატრალური ეთიკა“, გორკის „მტრები“, ა. ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, ფრ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“, მოლიერის „ძალად ექიმი“, კ. სიმონოვის და სხვა დრამატურგის პიესები. დაბოლოს, იურისტებისათვის

---

<sup>1</sup> იმავე წელს დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში. იხ. ტფილისის უნივერსიტეტი 1918-1928, ტფილისი, 1928, 331.

<sup>2</sup> მოგეხსენებათ, ოცინი წლების ბოლოდან და ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწყო ბრძოლა უფროსი თაობის მეცნიერთა წინააღმდეგ - თითქოს და ისინი რეაქციულ ძალებთან იყვნენ შეკრულნი და საფრთხეს წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აღნიშნული მოძრაობა რუსეთიდან დაიწყო და გავრცელდა მთელს საბჭოთა კავშირში. ეწეობოდა საუნივერსიტეტო „სასამართლოები“, სადაც ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარები, „წითელი პროფესორები“ პარტიული დავალებით განიხილავდნენ სახელოვან მეცნიერთა „საქმეებს“. ანალოგიური პროცესის მოწყობა სურდათ *პროფესორ ანდრონიკაშვილისათვის*, რაშიც მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ *ფატი გოკიელს* მოსთხოვა, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა *გოკიელმა*. საპასუხოდ ის ასპირანტურიდან გაუშვეს. ასევე, არ დაკმაყოფილდა განაცხადი მისი ასისტენტად გადაყვანის თაობაზე.

საამაყოფ, 1928 წელს, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის რედაქტორობით გამოიცა მსოფლიო ცივილისტიკის უდიდესი ფიგურის პეინრის დერნბურგის პანდექტების სამტომეულიდან, ერთის - ზოგადი ნაწილის ქართულენოვანი თარგმანი, რომლის ძირითადი ნაწილი შეასრულა კ. ჯაფარიძემ რუსული გამოცემიდან, ხოლო ფ. გოკიელმა შეადარა გერმანულენოვან მეშვიდე და ბოლო გამოცემას და შეიტანა შესწორებები; ასევე, მანვე თარგმნა წიგნში არსებული დანართები და თანარედაქტორის ფუნქციაც შეითავსა.

წინამდებარე კრებულის გამოცემა რიგი მეცნიერების საიუბილეო წელს მიეძღვნა. კერძოდ, გასულ, 2016 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილე აღინიშნა; ასევე, 140 წლის იუბილეა ცნობილი ქართველი ცივილისტის გრიგოლ რცხილაძის დაბადებიდან, 115 წლის - დოქტორ ფატმან გოკიელის, 130 წლის იუბილე - პროფესორ ალექსანდრე ვახეიშვილის. 2016 წელს 90 წელი შეუსრულდებოდათ პროფესორებს - სერგო ჯორბენაძეს, გიორგი ნადარეიშვილს და გივი ინწკირველს. მიმდინარე, 2017 წელს 145 წლის იუბილეა პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, 125 - პროფესორ იროდიონ სურგულაძის, 115 - პროფესორ დავით ფურცელაძეს, 90 - პროფესორების მიხეილ კეკელიასა და მზია ლეკვეიშვილის. ეს იუბილეები მეტად ფასეულია ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის და ჩვენც, წინამდებარე წიგნის გამოცემით, ვეხმაურებით ამ თარიღებს.

კრებულში შესული ნაშრომები პირვანდელი სახით ქვეყნდება, თუ არ ჩავთვლით მცირედ რედაქციულ შესწორებებს. ზოგიერთ ნაშრომში იგრძნობა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, წინადადების წყობა, რომელიც დღეს შესაძლოა გრამატიკულად გამართულად არ მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ტექსტის შინაარსის აღქმას ხელს არ შეუშლის.

„ქართული სამართლის კლასიკის“ გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს, მათ არქივში დაცული მასალების მოწოდებისათვის. ასევე, აღნიშნის ღირსია სარედაქციო ჯგუფის მიერ გაწეული შრომა.

„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“ კვლავაც განაგრძობს მსგავსი გამოცემებით ქართული იურიდიული ლიტერატურის ფონდის შევსებას.

### **ზვიად კორძაძე**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
„კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ მმართველი პარტნიორი,  
საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის თავმჯდომარე

### **თორნიკე ნემსჭვერიძე**

სამართლის მაგისტრი (თსუ),  
„კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ იურისტი

*2017 წლის ოქტომბერი*

## მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე კრებული - „ქართული სამართლის კლასიკა“ - მკითხველს აცნობს გამოჩენილ ქართველ სამართლისმცოდნეთა რჩეულ ნაშრომებს. კრებულში სულ ოცდაოთხი სტატიაა შეტანილი, მათ შორის არის საჭვეყნოდ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის *ივანე ჯავახიშვილის* წერილი, რომელშიც სამართლებრივი საკითხებია გაშუქებული.

კრებულში შესული ნაშრომების ერთ წიგნად გამოცემა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ის ადვილად ხელმისაწვდომს ხდის ცალკეულ ავტორთა სტატიებს მკითხველისათვის.

წინამდებარე გამოცემა შეიცავს ნაშრომებს, რომლებშიც გაშუქებულია ქართული სამართლის ისტორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის და სხვა სამართლებრივი საკითხები.

მკითხველის ყურადღებას, სხვა ნაშრომებთან ერთად, მივაპყრობ *პროფესორ იროდიონ სურგულაძის* სტატიის - „კანონის იურიდიული ბუნება“, რომელიც ავტორს მოხსენების სახით წაუკითხავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1923 წლის 28 თებერვალს. დასახელებული მოხსენება პირველად გამოუქვეყნებიათ 1992 წელს ჟურნალ „სამართალში“ (№5). კანონის ბუნება, *ირ. სურგულაძის* აზრით, იმაში გამოიხატება, რომ ის ეწინააღმდეგება აბსოლუტური მონარქიის იდეას, როცა მთელი ხელისუფლება ერთ ორგანოშია მოქცეული. „თანამედროვე სახელმწიფო - წერს *ირ. სურგულაძე* - ორ მთავარ პრინციპზეა აგებული. ესაა, ერთი მხრივ, კანონის ბატონობა და, მეორე მხრივ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი“. კანონი აბსოლუტური მონარქიის დროსაც მოქმედებდა, მაგრამ კანონს მაშინ არ ჰქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც მას შემდეგ თანდათანობით მიენიჭა.

„მონარქის სურვილი - აღნიშნავს ავტორი - თავისთავად უკვე კანონია“. საფრანკეთის დიდი რევოლუციის შემდეგ კანონის ასეთი გაგება თანდათანობით შეიცვალა და დამკვიდრდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი.

ასეთი იყო დაახლოებით *პროფესორ იროდიონ სურგულაძის* მოხსენების ძირითადი აზრი, რომელიც მან 1923 წელს გამოთქვა, მაგრამ ეს მოხსენება 1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიბეჭდა



პირველად. ეს ადვილად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლ-შევიკური რევოლუციის შემდეგ კანონი ისევ ძველებური მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

მეტად სასიამოვნოა, რომ წინამდებარე კრებულში იხილავთ გამოჩენილი ქართველი იურისტის, პროფესორ *ლუარსაბ ანდრონიკაშვილის* რეცენზიას, სადაც მოცემულია პროფესორ *გიორგი ნანეიშვილის* სადოქტორო ნაშრომის - „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ - მეცნიერული შეფასება.

წინამდებარე კრებულში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გამომჩენილი ქართველი მეცნიერის *თინათინ წერეთლის* ნაშრომი - „ვეთანახია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა“. სტატიაში დაწვრილებით არის განხილული პრობლემა, რომელიც მანამდე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის შეუსწავლელი იყო. *პროფ. თ. წერეთელი* დაწვრილებით გადმოსცემს საკითხის ისტორიას, განიხილავს საკითხს მეცნიერული კუთხით, სასამართლო პრაქტიკას და გვთავაზობს საკანონმდებლო წინადადებას. უნდა ითქვას, რომ *თინათინ წერეთლის* ეს ნაშრომი შემდეგ საფუძვლად დაედო საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლს - „მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით“.

წინამდებარე კრებულში მკითხველი იხილავს, აგრეთვე, სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების მეტად საყურადღებო ნაშრომებს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებას.

## ოთარ გამყრელიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

## შინაარსი

### ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი)

ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი ..... 13

### აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

ქართული სამართლის ისტორია (ქართული სამართლის წყაროები).63

### პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილ, გიორგი ნანეიშვილის სადისერტაციო ნაშრომზე -  
„სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების  
დასაბუთებისა“ - მიცემული რეცენზია ..... 80

### პროფესორი იროდიონ სურგულაძე

კანონის იურიდიული ბუნება .....95

„ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში

სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის.....117

### პროფესორი გიორგი ნანეიშვილი

დამოკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებთან შორის.140

### პროფესორი ალექსანდრე ვაჩიშვილი

სამართლებრივი ურთიერთობის ცნებისათვის ..... 180

სამართლის ცნების შინაარსის შესახებ.....195

### დოქტორი ფატი (ფატმან) გოკიელი

უფლება ..... 218

### გრიგოლ (გიგო) რცხილაძე

მფლობელობის დაცვა .....234

### კონსტანტინე მიქელაძე

სცნობს თუ არა საბჭოთა სამართალი მფლობელობის სარჩელს?...242

### პროფესორი თინათინ წერეთელი

ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა.....248

<b>ვლადიმერ მაყაშვილი</b>	
გენერალური განზრახვის საკითხისათვის .....	265
<b>პროფესორი ივანე სურგულაძე</b>	
საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით .....	278
<b>აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე</b>	
ორდალების საკითხისათვის შუა საუკუნეების ქართულ სამართალში .....	371
<b>პროფესორი მიხეილ (მიხაკო) კეკელია</b>	
ფოლკლორი როგორც წყარო ქართული სამართლის ისტორიისათვის .....	393
იურიდიულ ტერმინ „სისხლის“ შემცველი ერთი სტროფის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ .....	414
<b>პროფესორი გიორგი ნადარეიშვილი</b>	
ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით .....	419
<b>პროფესორი სერგო ჯორბენაძე</b>	
საკუთრება და საკუთრების უფლება .....	452
<b>პროფესორი დავით ფურცელაძე</b>	
ვახტანგ VI სამემკვიდრეო კანონი .....	483
<b>პროფესორი მზია ლეკვეიშვილი</b>	
სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში .....	505
<b>პროფესორი ზურაბ ახვლედიანი</b>	
ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით .....	611
<b>პროფესორი გიორგი ტყეშელიაძე</b>	
სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის დროს .....	623

**პროფესორი გივი ინჭირველი**

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის როლი იურიდიულ  
მეცნიერებათა სისტემაში ..... 643

ავტორთა შესახებ ..... 652

**წიგნზე მუშაობდნენ:**

ნინო სანიკიძე  
ძაბო დანელია  
მარიამ ნიკოლაძე  
თინათინ სალინაძე  
მარიამ ხევიაშვილი  
კახა წიქარიძე

**„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“**

თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №44, ბლოკი A, პირველი სადარბაზო, I

სართული

ტელ.: 032-2-38-03-22

<https://www.facebook.com/ZviadKordzadzePublishing/>

[info@zkpublishing.ge](mailto:info@zkpublishing.ge)

[zkpublishing.ge](http://zkpublishing.ge)

[legalpublishing.ge](http://legalpublishing.ge)